№ 211 ოქტომბერი 5, პარასკევი 1890 ოქტომბერი 5, პარასკევი № 211

გაზეთი ღირს

| თუმე | მან. კ. | თუმე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ქართული თეატრი

კვირას, 7 ოქტომბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ორი ცეცხლ-შუა**

დრამა 3 მოქ. თარგ. ი. მაჩაბლისა.

პირველი დებიუტი ქალბ. კერესელიძისა, რომელიც შეასრულებს მატილდას როლს.

II

**ქმარი ხუთის ცოლისა**

კომედ. 2 მოქ. თხზ. ანტონოვისა.

პირველი დებიუტი ქალბ. ღორთქიფანიძისა, რომელიც შეასრულებს მელანიას როლს

**მოთამაშენი:** ქქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კერესელიძისა, ღორთქიფანიძისა, ტატიშვილისა; ბ ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე კანდელაკი, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

კვირას, 7 ღვინობისთვეს,

დილის 11 საათზე, მოხდება ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება.

საგნები კრებისა:

1) წარსულ წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

2) ახალის წევრების არჩევა.

(3—1)

**დ. ი. კეზელი**

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი (20—8)

## 25 წლის იუბილეი

მცხეთის დედათა მონასტრის იგუმენია ნინოსი

2 ოქტომბერს, როგორც დანიშნული იყო, მცხეთის დედათა მონასტერში გაიმართა დიდი დღესასწაული იგუმენია ნინოს 25 წლის მოღვაწეობისა დიდძალი ხალხი დაესწრო დღესასწაულს. თვით ტაროსმა, დილით ცივმა და ქარიანმა, წირვის დროს გამოიბრწყინა და არ შეუშალა ხელი საერთო და საყოველთაო მხიარულებას. ტკბილი ქართული, ქართულის გალობით შემკული, წირვა დაიწყო ათის საათზედ, მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ბესარიონი არქიმანდრიტის კესარიოსისა და მღვდელ-მონაზონის ლეონიდის თანამწირველობით. დიდი ყურადღება მიიქცია ამ წირვაზედ მწყობრად და სასიამოვნოდ მგალობელმა წინამძღვარიანთ სკოლის მოწაფეთა ხორომ. თვით ჯიუტი კრიტიკოსი იმ ნაკლს მეტს ვერას შენიშნავდა, რომ იგი ერთობ პატარა იყო, სულ ხუთი-ექვსის კაცისაგან შემდგარი. წირვას შემდეგ მ. ლეონიდმა წარმოსთქვა გრძნობიერი, ადგილისა და დროის შესაფერი, სიტყვა. აგერ გათავდა წირვა და სამღვდელონი, შემოსილნი, დედა ნინოთითურთ, გაემგზავრენ იგუმენიას სახლისკენ. ამ წამიდგან იწყება დიდი, საერო დღესასწაული. ყველა, განურჩევლად წოდებისა, ხარისხისა, ჩამომავლობისა, წლოვანებისა, სიდიდოებს მიიღოს მხურვალე მონაწილეობა და შეძლებისა თვისისამებრ დაამშვენოს და მეტი ლაზათი დასდოს დღესასწაულს. აქ მოისმის მწყობრი გალობა ორის დასისა, იქ გამწკრივებულან დედათა მონასტრის ქალთა სკოლის მოწაფენი ყვავილებითა და თაიგულებით ხელში, რომელიც უნდა გზა გზა დაუფინონ თავიანთ დედას, თავიანთ საყვარელს მზრუნველს იგუმენიას; სულ ბოლოს, იგუმენიას სახლის კართან, ორ პირად სდგანან თავად-აზნაურნი, წინამძღოლნი და სხვა და-სხვა წარმომადგენელნი ჩვენის ქვეყნისანი, რათა სცენ პატივი ღირს ნინოს თავიანთ წარმომგზავნელთაგან. დიდ-ძალი ხალხია აქვე თავ-მოყრილი. აგერ თვით მედღესასწაულე ამ დღესასწაულისა მიუახლოვდა თვის სახლის კარს. აქ შესდგა პროცესია. წარმოსდგა სიღნაღის მაზრის უფროსი ბ-ნი ნიკოლოოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი და მიჰმართა იგუმენიას შემდეგის სიტყვით: „დედიდა ჩემო, ბატონო იღუმენია ნინოვ! ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ შევესწარი დღევანდელს დღესა და მომეცა შემთხვევა ამ ციდის სახიუქრით (ძვირფასი ჩხის სამკაული, შემომღვნილი იგუმენიის ახლო მონათესავეთაგან) ცოტად მაინც გადაგიხადოთ მადლობა იმ შრომისა და ზრუნვისათვის, რომელიც თქვენ მიიღეთ თითქმის ყოველს ჩვენთაგანზედ. თქვენი ამაგი ჩვენზედ დიდია და ვერაფრით ვერ გადაეიხდით. თუ ვისმეს ჩვენთაგანს კარგი რამ სჭირს, თქვენის წყალობით: სიყრმითვე დღე-დაღამ ჩაგვჩიჩინებდით, ერიდებოდეთ სიმრუდეს, ფლიდობასა და გიყვარდეთ ჭეშმარიტება, სიმართლე, პატიოსნება, ჩვენი ერი ა მამული. იმედი გვაქვს, რომ ამ ბავშვებსაც (წარუდგინა თვისი შვილები) არ მოაკლებთ თქვენს დარიგებასა და დააყენებთ იმ გზასა და კვალზედ, რა გზაზედაც უნდა იდგეს ნამდვილი შვილი ჩვენის სამშობლოსი. ეს ბავშვები, თუ ღმერთი დღეს მისცემთ, გარდასცემენ თავის შვილსა და შვილიშვილებს დღევანდელის დღის ამბავს, უამბობენ, ვინა ბრძანდებოდით ჩვენთვისა და ერისთვის, და ეტყვიან: ბებია ნინოს შემდეგ ბევრი ნინო დაბადებულა, მაგრამ მისთანა ნინოობას ვერვინ იზამსო". შემდეგ თავ. ამილახვართ საგვარეულომ უძღვნა ძვირფასი ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, ხატი წმიდის ნინოსი. თ. დავით ლუარსაბის ძემ ამილახვარმა ამ დროს წარმოსთქვა შემდეგი გრძნობით სავსე სიტყვა:

„თქვენო მაღალ-ღირსებავ დედაო იგუმენია ნინო!

მე არ მალ-მიძს ჩამოვთვალო ყოველნი კეთილნი და სათნონი საქმენი თქვენნი. ვინ არ უწყის, ვინ არ ხედავს დაუღალავსა და თავ-განწირულსა მოღვაწეობასა თქვენსა; უტყუარი ღვაწლი თქვენი არის უკვე ცნობილი და ჯეროვანად დაჯილდოვებული მთავრობისა და ერისაგან.

მე მსურს ამ ორიოდე სიტყვით გამოვხატო სრულიად სხვა გრძნობა, რომლითაც დღეს აღვსილნი არიან თქვენნი თანამოგვარენი თ-ნი ამილახვარნი. ღვაწლი თქვენი განათლებისა და ეკკლესიისადმი მოტანილ არს და, რასაკვირველია, ერთნაირად მოჰფენს სხივსა თვისსა სრულიად საქართველოსა და აღავსებს სიხარულითა ყოველის ნამდვილის ქართველის გულსა. ნება გვიბოძეთ ჩვენ, თ-დთ ამილახვართ, უმეტესად გვექებოდეს თავი, ნება გვიბოძეთ სახელითა თქვენითა, ვითა ბრწყინვალე მარგალიტით, შევამკოთ და დავამშვენოთ გვირგვინი უძველესის საგვარეულოისა ჩვენისა. დიდია და სასახელო ჩვენთვის მოღვაწეობა თქვენი! წარსული და აწმყო თითქმის ყოველი ერისა ჰმოწმობს, რომ მცირედია ერთობ შესაწირავი დედათა სქესისა, საერო და საქვეყნო სალაროში შეტანილი. ამ გვარმა შეხედულობამ, ზოგიერთ ფილოსოფოსთა და მწერალთაგან გაზვიადებულმა, მიაღწია იქამდის, რომ მრავალნი საჯაროდ ჰქადაგობდნენ და ჰქადაგობენ დღესაც, ვითომ დედათა სქესს არ ძალუძდეს სამსახური საზოგადო სარბიელზედ, არ შესტკიოდეს ქვეყნისათვის გული. ასეთი აზრი, ყველა დამეთანხმება, ჩემგან არ არის შეთხზული, იგი უმეტეს ჩვენის ქვეყნისა გაისმის სხვაგან. გარნა უნდა ყველა აქ შეკრებილთ სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს არა ერთსა და ორს მაგალითს დედათა სქესის დიდ-სულოვნებისას.

ჩვენი ქვეყანა, ვისაც გსურთ, ცხადად დაუმტკიცებს, რომ დიდია მოწოდება დედისა და მრავალ-ფერია ღვაწლი მისი. წარჩინებულნი და დაუვიწყარნი სახელნი წმიდისა, მოციქულთ სწორისა ნინოსი და მრავალ წამებულის ქეთევანისა ყველას თვალ-წინ გვიდგა. ეს—სარწმუნოების გმირნი. თუ ჩამოვთვლით გმირთა დედათა სქესისას სამოქალაქო ასპარეზზედ, მაშინ თვით ურწმუნო თომაც უნდა დარწმუნდეს, რომ დედათა სქესს მაღალი მოწოდება აქვს. ხოლო აწინდელი ჩვენი ყოველ მხრივ დაჩაგრული დრო არ არის მდიდარი საქვეყნო და საერო მოღვაწეობით.

გაზვიადებული არ იქნება მოგახსენოთ, რომ ერთად ერთი ადამიანი ბმანდებით, მეტადრე დედათა სქესში, რომელმაც დასთმეთ ყოველივე სიამენი ქვეყნისანი და შეუდექით ეკლიანსა გზასა ქვეყნისა და სარწმუნოებისა მსახურებისას. ვითარცა განმარტოებული ტაძარი, უდაბნოსა მდგარი, მოსჩანს სახელი თქვენი, განდიდებული და გაბრწყინვალებული სათნოებითა, კეთილის საქვეყნო თავ-განწირულის შრომითა. გზა გაკვლეულია თქვენ მიერ სამაგალითოდ და სანატრელად დარჩება ჩვენთა დედათა შორის.

დაუვიწყარი იქნება ღვაწლი თქვენი და აი ეს არის კიდევ ის საბუთი, რომელიც გვაძლევს ჩვენ, თთ. ამილახვართ, სიამაყეს, გვიმატებს სახელს თქვენით თითქოს ჩვენც ავმაღლდით, თქვენით ჩვენ შეგვამლიან ვსთქვათ, რომ:

გზა ცხოვრებისა ისე არ განვვლეთ,
არ აღგვებეჭდოს ნავალი.

მაშ იცოცხლეთ კიდევ მრავალ ჟამიერ სადიდებლად ქვეყნისა და დასამშვენებლად სრულის საქართველოისა საზოგადოდ და ჩვენის საგვარეულოისი კერძოდ".

შემდეგ წარსდგა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და სთქვა:

„ყოვლად პატიოსანო, დედაო ნინო!

ბედნიერად ვრაცხავ ჩემს თავს, რომ დღეს მე ვასრულებ გორის მაზრის თავად აზნაურთა იმისთანა მინდობილებას, რომელსაც მეც თანაუგრძნობ სულითა და გულით., მოგილოცავთ თქვენის ოცდა-ხუთის წლის მოღვაწეობის დღესასწაულსა და ვთხოვ ყოვლად შემძლებელს, რათა განაგრძოს მან სიცოცხლე თქვენი, ძვირფასი ყოვლის ჭეშმარიტის ქართველისათვის. ამგვარს დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ყველასათვის სასიამოვნო და სასიხარულოა, ხოლო ჩემთვის ეს ამბავი სასიქადულოც არის, ვინაიდგან თქვენ ეკუთვნით ჩვენს მაზრაში მცხოვრებელს დიდებულს გვარეულობას, რომელსაც ქვეყნისათვის მიუცია არა ერთი სახელოვანი გვამი, მეფისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული. სახელი გამოჩენილ წინაპართა დღესაც არ გამქრალა: დღესაც ჰყვანან ამ გვარეულობას დიდად ღირსეულნი წევრნი, რომელთა შორის ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი გიჭირავთ თქვენცა.

ყველას კარგად მოეხსენება, რა ძვირფასია ადამიანისათვის ის პატარა კუთხე ქვეყნისა, სადაც ის დაბადებულა, სადაც პირველად დაუნახავს მას ცა და ქვეყანა. ამისთანა ადგილი არა მარტო კერძო ადამიანთა აქვთ, არამედ მთელს ერსაც. ქართველის ერისთვის ამ გვარს კუთხეს შეადგენს ის მიდამო, სადაც ეხლა ჩვენ ვიმყოფებით. აქ, ამ წმიდა ადგილებზედ, დაუწყია ქართველობას თავის პირველი ყოფა-ცხოვრება, აქ გაუტარებია მას თვისი ბავშვობა და აქედგანვე მოჰფენია მთლად ჩვენს სამშობლოს ზეციური ნათელი ქრისტეს მცნებისა. დაცვა ამისთანა ადგილებისა, გამშვენება და შენახვა მათი მომავალ თაობათათვის არის უდიდესი მოვალეობა მთელის ერისა. ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც უმაღლესი განგება ირჩევს ამ წმიდა მოვალეობის აღსასრულებლად, და უფრო ბედნიერია მაშინ, უკეთუ ეს მოვალეობა შეუსრულებია მას ისეთის მხნეობითა და მოფიქრებით, როგორითაც გიმსახურნიათ მისთვის თქვენ, ყოვლად პატიოსანო დედაო ნინო!.. კარგად ვიცით, რა ნაირ სამწუხარო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ეს წმიდა ადგილები, როდესაც თქვენ პირველად ჩაგბარდათ ათას ნაირ მოვალეობით სავსე თანამდებობა აქაურ დედათა მონასტრის წინამძღვრობისა. კარგად გვახსოვს,—როგორის გასაოცარის მხნეობითაც-კი შეუდექით თქვენ აღდგენას, განახლებასა და გამშვენიერებას ყოვლის ქართველისათვის ძვირფას წმიდა შენობათა. თქვენ დაითმინეთ მრავალნაირი გაჭირვება და შეწუხება. რამდენჯერმე შემოიარეთ ისეთი შორეული ქვეყნები, სადაც წასვლა გამოცდილ მამაკაცთაც კი უჭირდებათ. ამ სახით შეგროვილის ფულით თქვენ მიაღწიეთ არა მხოლოდ დასახელებულს საგანს, არამედ სხვა დიდსა და სასარგებლო საქმესაც გაუწოდეთ თქვენი კურთხეული მარჯვენა. თქვენ, პირველმა, გაჰმართეთ დედათა სკოლა, საიდამაც არა ერთი კეთილად აღზრდილი ქალი და ოჯახისათვის თავდადებული დედა შეჰმატებია ქართველობას. გონივრულის მოქმედებით თქვენ მოიგეთ გული მთავრობისა; დაჩაგრულს ერს გაუღვიძეთ ქრისტიანული სასოება და იმედი უკეთესის მომავალისა. ამგვარი მოღვაწეობა არა მარტო თავის აწმყოთი არის შესანიშნავი, არამედ უფრო მეტად თავის შედეგით, რადგან იგია თესლი, რომელიც მომავალში სანატრელ ნაყოფად აღმოსცენდება".

სიტყვა დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანდიდატისა თ. ლევან მუხრანსკისა:

თქვენო მაღალ ღირსებავ დედაო ნინო!

„იშვიათი ბედნიერება მომეცა დღეს მე, გამოუცხადოთ ჩემი და ჩვენის მაზრის თავად-აზნაურთა მაგიერ უგულითადესი თანაგრძნობა თქვენს მოციქულთ სწორებრივს 25 წლის მოღვაწეობას. დედაო ნინო, ბევრი შრომა და ღვაწლი დასდეთ ჩვენს ქვეყანასა და მარადის დაუვიწყარ იქნებით ჩვენ შორის. ამ თქვენს ღვაწლს აქვს ეროვნული მნიშვნელობა, სამაგალითოა ჩვენთვისა და ჩვენთა მომავალთათვის და მრავალ რიგად საგულის ხმიერია. სარწმუნოება, სჯული ქრისტესი იყო ის მტკიცე ზურჯი, რომელმაც დაიცვა ჩვენი ქვეყანა აოხრებისგან, იგი იყო ის ძლიერი მახვილი, რომელმაც განსდევნა მრავალნი მტერნი სჯულისა და ჩვენის ერისა. ჩვენ ქართველთ, სჯული და ეროვნობა შევაერთეთ, შევასისხლ-ხორცეთ. ქრისტიანობა ჩვენ დედად ჩავსახეთ და მიტომაც წარმოგვიდგენს ჩვენი დიდებული წარსული ათასს მაგალითს ქართველთა თავ-განწირულებისას, თავ-დადებისას მამულისა და ეკკლესიისათვის, რომელთა შორის ჩვენს გულში განსხვავება არ იყო. თქვენ, დედაო ნინო, მიდრეკილებისამებრ სულისა თქვენისა გზვდათ წილად მოღვაწეობა იმ უუწმინდესს ასპარეზზედ და აი დღეს ვდღესასწაულობთ 25 წლის თქვენის სამაგალითო მოღვაწეობისას.

თქვენ არ განსმდომიხართ მხედრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ჯვარით ხელში, თქვენ თითქმის არ გასცილებიხართ ამ მონასტრის ოთახის კედლებს, მაშასადამე სად ვეძიოდ იგი დიდი ღვაწლი თქვენი და რა არის მიზეზი დღეს ამოდენ ხალხის აქ თავმოყრისა? არა, ჩვენ ვიცით, ჩვენ ვგრძნობთ, რომ სხვა დრო დაგვიდგა; მტერი, რომელიც ეხლა გვაწუხებს, ხინგის ყეენისა და აღამაჰმად-ხანებზედ თუ ძლიერი არა, სუსტი არ არის. მე მოგახსენებთ ჩვენს უსწავლელობასა და გაუნათლებლობაზედ. და აი ამ დიდს ჩვენს აწინდელს მტერს თქვენ შეებრძოლეთ და რამოდენითაც-კი გარემოება ხელ-შეგიწყობდათ, დათრგუნეთ იგი. შეხედოთ ამ ყრმათა მღიმარე და ბედნიერს სახეს, ვინ არის მიზეზი მათი სიხარულისა? თქვენა. ვისის მეოხებით შეიქმნებიან ესენი ღვთის მოყვარე, კეთილნი და სათნო დედანი? თქვენის, დედაო ნინო. მაშ იცოცხლეთ მრავალ-ჟამიერ ჩვენდა სასახელოდ“.

გრიგოლ ყარანგოზიშვილმა იგუმენიას პატივის-მცემელთაგან მიართვა სუფრის საგანგებო იარაღი, ვერცხლისა, ოქროს წყალში დაფერილი, და საკუთრივ თავისის მამის ადამის ოჯახობის მხრივ ერთის ადამიანისათვის სახმარებელი ჩაის მშვენიერი მოწყობილება. შემდეგ წარსდგნენ მცხეთის დედათა მონასტრის მონოზნები და მიართვეს წინამძღვარს წმ. ნინოს ხატი. მათ მაგიერ სიტყვა სთქვა ბ-ნ ნ. ალ. მესხიშვილმა: „დღევანდელს დღეს შესრულდა 25 წელიწადი, ყოვლად ღირსო დედაო, იგუმენია ნინოვ, თქვენის აქ წინამძღვრობისა. არამც თუ ამ ჟამის განმავლობაში, არამედ წინადაც თქვენ ბრძანდებოდით მართლად ნამდვილი წინამძღვარი ჩვენი ყოველს კეთილს საქმეში. უთქვენოდ უთქვენრჩევოდ ვერა საქმეს ვერ შევუდგებოდით ხოლმე. თქვენმა გამჭრიახე ჭკუამ, თქვენმა დაუძინარმა, მართლაც დედობრივმა, ზრუნვამ აღადგინა დაცემული ეს მონასტერი, ჩაუდგა სული, დააყენა ფეხზედ. ვითარცა წმ. ნინომ, განმანათლებელმან საქართველოსამ, თქვენ განფანტეთ იგი სიბნელე, რომელშიაც იყო ჩავარდნილი ეს ჩვენი მონასტერი და გამოიყვანეთ სინათლეზედ დაარსებით წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისა. ნიშნად ჩვენის ღრმა პატივის-ცემისა და გულითადის სიყვარულისა მიიღეთ ეს ხატი თქვენის მოსახელესი წმ. ნინოსი, მეოხებასა რომლისაც ვევედრებით წინაშე ღვთისმშობლისა მარიამისა, მფარველისა საქართველოისას რათა მან განაგრძოს სიცოცხლე თქვენი ჩვენ სანუგეშოდ და სასიქადულოდ.“

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა მოხერხებულად და გრძნობიერად მარიამ მახარაძის ქალმა, მოწაფემ უწინდელის მცხეთის ქალთა სკოლისამ, რომელიც შემდეგ ქალ. ტფილისში იქმნა გადატანილი და აწ ეპარქიალურ სასწავლებლად იწოდება:“

„უძვირფასესო მაღალ-ღირსო, დედაო იგუმენია!

თუ ვისმე აქვს ჯეროვანი და უტყუარი საბუთი თქვენის დედად წოდებისა, გახლავართ ჩვენ, რომლებსაც გაგვიტარებია ამ წმინდა ადგილში ჩვენი სიყრმე—თქვენს მფარველობას ქვეშ. შვიდირვა წლისანი მოგვაშორეს მშობელს დედებს, კერას, ყველაფერს, რაც ისე იზიდავდა ჩვენს ჭკუა-გონებას, და, რასაკვირველია, ვერ ავიტანდით ამას, თუ არ გაგვეწიათ ჩვენთვის ნამდვილი დედობა. დანახვისათანავე ჩვენ ჩაგვივარდა სიყვარული თქვენი და შემდეგში წლითაწლამდე სიყვარული ესე უფრო და უფრო მატულობდა და მატულობს დღევანდლამდის, თუმცა კარგა ხანია გავედით ამ სასწავლებლიდგან და, ჩვენდა სამწუხაროდ, დავშორდით თქვენ ხორციელად, თუმცა-კი სულითა და გონებით განუშორებლივ თქვენთან ვიყავით. თუმცა ბედმა და ცხოვრების მოთხოვნილებამ თვით ამხანაგებიც დაგვაშორა ერთმანეთსა და დაგვფანტა აქეთ-იქით, მაგრამ თქვენის წყალობისა გამო არ გვავიწყდება ერთმანეთი, რადგანაც გაიგებს რა ვინმე ჩვენთაგანი თქვენს კარგად ყოფნასა და სიკეთეს, მოვალედ ჰრაცხს თავის თავს, აცნობოს თავის ამხანაგებსაც, იმიტომ-რომ დარწმუნებულია ამაზე სასიამოვნო და საამური იმის ამხანაგებისათვის აღარა იქნება-რა. ჩვენ წავედით, დავშორდით, მაგრამ თქვენი სურათიც წავიღეთ თან. თქვენი სახე მტკიცედ აღმოვიბეჭდეთ გულში და თქვენს სახელსა და დედობას დავუთმეთ უპირველესი ადგილი... დღევანდელს საერთო სიხარულს ვუერთდებით ჩვენც და გულით ვისურვებთ, რომ მრავალ-ჟამიერ ჰყოს ღმერთმა თქვენი სიცოცხლე სასიხარულოდ და სასიამოვნოდ ჩვენდა.

მიიღეთ, დედაო, იაფი მაგრამ უძვირფასესი ჩვენთვის თქვენი სურათი და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს სახელს გარდავსცემთ შვილებსა და შვილი-შვილებს“.

ახალის ქალთა სკოლის პაწია მოწაფეთ ორიოდე ტკბილი სიტყვა მოახსენეს თავიანთ საყვარელს იგუმენიას და უძღვნეს პაწია ყუთი პატარა „სადესერტო“ იარაღით (კალანდარაშვილისაგან). აქ იუბილიარმა სიხარულის ცრემლი ველარ შეიკავა, გადასწერა ყრმად პირ-ჯვარი და დალოცა. შენმდეგ წარსდგნენ: ახალგაზდა მხატვარი მრევლიშვილი, რომელმაც მიართვა იღუმენიას მისი სურათი, თავის მიერ დახატული! თ. დავით ციციშვილი, რომელმაც მიართვა საუცხოვო სამწერლო მოწყობილება და შესაფერი სიტყვა მოახსენა; ვლადიმერ გედევანიშვილმა მიართვა პაწია ქანდაკება წმ. ნინოსი, თავის გაკეთებული. ეპისკოპოს გრიგოლისაგან იყო წარმოგზავნილი სამწერლო იარაღი ხისა, ერთობ მშვენიერი, ალაგობრივის ხელოვნებისა. ალექსანდრე ეპისკოპოზის მაგიერ ბ-ნმა ალექსანდრე არდაზიანმა წაიკითხა შემდეგი: «დედა იგუმენია ნინო! წმინდის გულით მოგილოცავ თქვენს 25 წლის ღვაწლსა და სამსახურს, იგუმენიობის ხარისხში გატარებულს. მადლი ღვთისა იყავნ თქვენზედ, რათა განცისკროვნდეს დღენი თქვენი საქართველოს ისტორიის ცის კიდურზედ მრავალ ჟამიერ». სიტყვები წარმოსთქვეს: მღ. ასათიანმა, ბ-ნმა ნაკაშიძემ და ბოლოს მცხეთელმა გლეხმა ზაქარია გარსევანაშვილმა, რომელმაც თავისი სიტყვა გაათავა შემდეგის თავისისავე ლექსით.

ილ ვაწი სამშობლოსათვის, თავსა არ
აძლევ შვებასა,
უ მველის მველესს ტაძართა არ აკლებ
განახლებასა;
მ ართალის გულით წინამძღვარობ და სი-
მართლით მწყვსი კრებასა,
მ ალერსები შენ მხოლოდ სამშობლოს
განათლებასა,
ნ ეტარ ხარ ჩვენის ქვეყნისთვის დიდ
საიმედო მშრომელი,
ი ბრძვი და სცდილობ ჩვენთვისინ გუ-
ლითა დაუმცხრომელი.
ა დიდოს ღმერთმა სახელი თქვენი, დი-
დების გრძნობელი,
ნ ათელ ხარ ჩვენის ქვეყნისა და წყა-
რო დაუშრომელი.
ი ს წმიდა ჯვარი გაზისა სიყრმითვე
შეგუყვარებია,
ნ ეტარის ნინოს სამყოფელს ტაძარი
გიშენებია.
ა მისთვის დონისძიება სხვა ქვეყნით
შეგიკრებია,
ს ამარადისო სახსოვრად სამშობლო
გიმშვენებია.
ღვთის მსახურებით ახსავსეე ასრუ-
ლებ უფლის ნებასა,
თქვენებრივ მშრომელს სამშობლო ადი-
დებს, უძღვნის ქებასა.
ის ტკბილი მუძუ საქვეყნოდ უწოვებია
დედასა,
და აღუზრდიხართ თვის მეგლად, ნეტარ
მათს ნეტარებასა.
მშობლიურის ხელით ობოლი გიზრდიას
გიშვილებია,
იმათვის ტანჯვა და შრომა არ ოდეს
დაგზარებია.
უფლის მოცემულ სასწორი სიმართლით
გიტარებია.
და იმ სასწორით მანანა ყველასთვის
გიწილებია,
იცოცხლე, იყავ მშვიდობით, გიცოცხ-
ლოს თქვენი კრებული,
რომ თქვენის ლოცვით შეიქმნეს სამშობ-
ლო განათლებული.
იცოცხლე ტაძრით მშვენებავ და ობოლთ
ამ სოფელს,
თქვენ სამარადისოდ დიდება და განათ-
ლება თქვენს მშობელს.

გორნიჩისამ და ნ. ამილახვარმა ხუთ-ხუთი თუმანი ქალთა სკოლას შესწირეს. შემდეგ ამისა იუბილიარმა მიიწვია სტუმარნი ყავაზედ. საათის სამზედ დაიწყო სადილი. პირველი სადღეგრძელო გენერალმა თ. ამილახვარმა წარმოსთქვა, ხელმწიფე იმპერატორისა, რომელიც ყველამ ფეხზედ წამოდგომით მიიღო, „ურასა“ და მრავალ-ჟამიერს ბოლო აღარა ჰქონდა. მეორე სადღეგრძელო იყო იგუმენია ნინოსი. აქ კვლავ წარსდგა ბ-ნი ნიკ. ალექს-მესხიშვილი, მასპინძელი და თავდარიგის მიმცემი მთლად დღესასწაულისა და ვრცელს სიტყვაში აღნიშნა ღვაწლი იუბილიარისა. სიტყვებით შესვეს სადღეგრძელო აგრეთვე ბ-ნმა რატიშვილმა და მ. წ—ძემ. უკანასკნელმა მოახსენა სხვათა შორის: „თქვენო მაღალ-ღირსებავ, დედაო ნინო! დიდი და უტყუარია ღვაწლი თქვენი ამ დედათა მონასტრისა და ქალების აღზრდა-განათლებისადმი მოტანილი. ამ საგანზედ დღეს მრავალი ითქვა და მე არა მსურს განვიმეორო იგივე. მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო საზოგადო და საქვეყნო მხარე თქვენის ცხოვრებისა. მოგეხსენებათ, ბატონებო, ჟამთა ბრუნვამ და ჟამთა-ცვლამ იმ უკიდურესობაში ჩაგვაგდო, რომ ჩვენ, ძენი დიდებულთა, მხნე და გამჭრიახთ მამა-პაპათა, ლაჩრებად, ულონო და უსაქმო ხალხად გადავექცეულვართ. თუ წინად ასი ქართველი ათასს სძლევდა, დღეს, დარწმუნებით ვიტყვით, ათასს ქართველს ათი მტერი დასძლევს. რადა? იმიტომ, რომ დავწერილმანდით, სულით დავეცით, ღონით დავუძლურდით. ნუ დავუწყებთ ძებნას მიზეზს ამ სულიერად დაქვეითებისას. ეს შორს წაგვიყვანს. მხოლოდ აღვნიშნოთ, აწინდელნი ქართველნი რომ შევიკრიბებით რაიმე საქმის გასაკეთებლად, მაშინვე ვიწყობთ გოდებას: აბა ჩვენ რა ვართ, რა შეგვიძლიან, ეჰ, ჩვენ ხომ არაფრის შნო არა გვაქვს ჩვენ, ქართველები ვართ და სხვა. ასეთი სულით დაცემა, ასეთი სასოწარკვეთილი მდგომარეობა ეწვევა ხოლმე როგორც ერთს, კერძო კაცს, აგრეთვე მთელს საზოგადოებას, ერს. აქ ბძანებულნი, წარჩინებულნი მხედარნი რუსეთის მხედრობისანი დამეთანხმებიან, რომ ხშირად დიდი და ძლიერი მხედრობა ვარდება ასეთს მდგომარეობაში, და აი კიდეც ამ დროს უნდა დაჰქროს გამამხნევებელმა შეუშინარმა, ვაჟკაცმა, მამაცმა, უშიშარმა ხმამ მხედართ-მთავრისამ. ასეთი ხმა შთაბერავს სულს, გააცოცხლებს მხედრობას, თავზარ-დამცემი მამაცობა სარდლისა ელექტრონივით მოედება ყოველს მხედარსა და შთაჰბერავს ისეთ ძალას, რომელიც ერთის წამით წინად აღარ მოეპოვებოდა არავის. ასეთია საზოგადო მოქმედება დიდის გვამისა, ძლიერის კაცისა ერზედ. თქვენ, დედაო ნინო, ერთს ასეთს გვამად მიგვაჩნიხართ თქვენს ასპარეზზედ. თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ჩვენც კაცნი ვართ და შრომა და ღვაწლი შეგვიძლიან. მაგალითი გადამდებია და ღვაწლი თქვენი წაუბაძავი არ დარჩება. მეორე მხარე თქვენისთანა მოღვაწეთა არსებობისა უფრო შესანიშნავია. მოგეხსენებათ, ბატონებო, რა განხეთქილება არსებობდა და ეხლაც არ გამოლეულა სხვა-და-სხვა ქართველ ტომთა შორის. ვინ იცის, რა უკიდურესობამდე მიაღწევდა ეს განხეთქილება, რომ შემაერთებელი და შემარიგებელი ძალა არ იბადებოდეს დრო-გამოშვებით. ეს ძალა არის საერო, საქვეყნო, საყოველთაო კაცი. ვილას ახსოვს განსხვავება და შუღლი, როდესაც გავიხსენებთ წმ. ნინოს, თამარს, შოთას. ისინი ჩვენია, ყველა ვამბობთ, და თუ ეს ასეა, ჩვენც ერნი ვართ ყველანი! ასეთია დღევანდელი დღესასწაულიც. ყოველმა კუთხემ ჩვენის ქვეყნისამ დღეს ხმა ამოიღო და ზოგმა აქ დასწრებით და ზოგმაც დეპეშით განაცხადა თავისი სიამოვნება და გიძღვნათ მოლოცვა თქვენის 25 წლის ნაყოფიერის მოღვაწეობისათვის. მაშასადამე, დედაო ნინო, თქვენც ეკუთვნით იმ მცირედს გუნდს დიდის კაცებისას, რომელნიც ამხნევებენ და აერთებენ კაცთა საზოგადოებად. იცოცხლეთ მაშ მრავალ-ჟამიერ, ნეტარო დედაო ნინო, ჩვენდა სასახელოდ“. შემდეგ ამისა იქმნა წაკითხული მოლოცვის დეპეშები მაღალ-ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსის პალლადისა პეტერბურგიდგან: „გილოცავთ 25 წლის ღვაწლს იგუმენიობისას, შევთხოვ უფალს ლოცვა-კურთხევას თქვენთვის. ამბავი თქვენის ღვაწლისა წარდგენილ ექმნა სინოდს“. ეპისკოპოზ გრიგოლისგან, კონსტანტინე მამაცაშვილისა და მრავალთ სხვათაგან, რიცხვით 25-მდე, სხვა-და-სხვა დაბისა და ქალაქიდგან. დასასრულ ლხინისა კვლავ დალიეს სადღეგრძელო მეიუბილეისი. აქ იგუმენია წარმოსდგა და შემდეგის სიტყვებით გადუხადა მადლობა საზოგადოებას: „ენა ჩემი უძლურ არს წარმოსათქმელად გულითადის ჩემის მადლობისა თქვენთადმი, ჩემო მოწაფენო, დანო და ძმანო. მე ღირსი არა ვარ იმ პატივისცემისა, რომლით ღირს მყავით მე დღევანდელს დღეს! დღევანდელი დღე აქრობს, მავიწყებს იმ მწუხარე წამთ, რომელნიც ბედმა ჩემმა შემახვედრა დღევანდელამდე. სიყრმითვე ამ მონასტერში აღზრდილმან გამოვცადე ბევრი კარგი და ცუდი. სიყრმითვე მივეც აღთქმა თავსა ჩემსა, რომ შემეწირა ჩემი სიჭაბუკე, სრულ-ასაკობა და მოხუცება კეთილ-დღეობისათვის ამ მონასტრისა. როგორ შევასრულე ეს ჩემი სიტყვა და რა ნაყოფი მოიღო ჩემმა შრომამ, მის განსჯა მე არ შემიძლიან“, ცოტა გვიან მობრძანდნენ სადილზედ არქიმანდრიტები მაკარი და ნიკოლოოზი. ამათაც მიჰმართეს იუბილიარს გრძობით აღსავსე სიტყვებით. სადილმა მხიარულად ჩაიარა. საათის შვიდზედ მრავალრიგად ნასიამოვნები სტუმრები გამოეთხოვნენ მეიუბილეეს, გადუხადეს მადლობა მასპინძელსა და თავდარიგის მიმცემს ბ-ნ ალექსი—მესხიშვილს მეულღითურ და დაიშალნენ.

მდაროველი.

## ახალი ამბავი

*** მრავალ მისალოც დეპეშათა შორის, რომელიც მიუვიდა 25 წლის იუბილეის გამო მის მაღალ ღირსებას იგუმენია ნინოს, მეიუბილეემ მიიღო შემდეგი დეპეშა კავკასიის მთავარ-მმართებლის შერემეტიევისა და მის მეუღლისაგან:

მოგილოცავთ იუბილეის და ვისურვებთ თქვენთვის ყოველსავე სიკეთეს. დიდად ვსწუხვართ, რომ ვერ დავესწარით თქვენის იუბილეის დღესასწაულს.

ამ დეპეშის პასუხად იგუმენია ნინომ მისწერა მის მაღალ-აღმატებულებას:

დიდად ბედნიერი ვარ და დიდად სასიქადულოა ჩემთვის—ის პატივისცემა, რომლის ღირსიც შევიქენი მისის აღმატებულების ვედოკია ბორისის ასულისა და თქვენ მიერ. ღმერთსა ვსთხოვ თქვენს დღეგრძელობას სასარგებლოდ ჩვენის ეკკლესიისა და თქვენდა მონდობილის ქვეყნისა.

*** პეტერბურგიდამ იქაურ ქართველ სტუდენტებისაგან მოგვივიდა შემდეგი დეპეშა სამძიმრისა ჩვენის პოეტის ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალების გამო: დიდად შევწუხდით ძვირფასის პოეტის გარდაცვალების გამო. განუცხადეთ ჩვენი გულითადი მწუხარება მიცვალებულის სახლობას. შეამკეთ საფლავი მისი გვირგვინით და ზედ წააწერეთ: ავტორს „იმედისას“ პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისაგან.

ამასთანავე მოგვივიდა 15 მან. გვირგვისათვის.

*** სამძიმრის დეპეშა მოგვივიდა აგრეთვე ახალ-ქალაქიდამ: ჩვენის ძვირფასის პოეტის ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალებამ დიდად შეგვაწუხა ქართველნი ახალ-ქალაქისაო.

*** როგორც შევიტყეთ, მამა იოანე სერგიევი, კრონშტადტელი დეკანოზი, ტფილისში ხვალ ჩამოვა.

*** რკინის გზის სადგურ ტფილისის ტელეგრაფისტებს, რომელნიც რამდენიმე წელიწადი ჰმსახურობენ, როგორც ისმის, მმართველობა დაუნიშნავს პირველ იანვრიდგან სახლის ქირის ფულს, რადგანაც თითონ არა აქვს საკმარისი სადგომი.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ამ თთვის პირველს ღამეს საფოსტო და სახალხო მატარებელში № 1, რომელიც ბათუმიდგან ტფილისში მოდიოდა, ვი-

დასაც მოეპარა 35 000 მან. ეხლა ჟანდარმების გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს ფული „საარტელო" განყოფილებიდგან მოუპარავთ მცხეთაში იმ დროს, როდესაც მეარტელე სიმონ თევდორეს ძე ბირიუკოვი მთვრალი ყოფილა და ვაგონიდგან გამოსულა „მცხეთაში" რკინის გზის ამ სადგურის უფროსისაგან სახელმწიფო ფულის გამოსართმევად. როდესაც ფული გამოურთმევია სადგურის უფროსისათვის, ბირიუკოვი შასულა ვაგონში და უნახავს, რომ თავის განყოფილების კარი მოხურულია და დაკეტილი-კი არ არის. ამ დროს მატარებელიც დაძრულა სადგურიდგან და წამოსულა ავჭალაში. ბირიუკოვს გაუსინჯავს ფულის რკინის ზანდუკი და აღმოუჩენია, რომ ქაღალდის ფული, რომელიც დასტა-დასტა შეკრული ეწყო, აღარ არის. მაშინვე აქეთ-იქით სცემია, მაგრამ ვერას გამხდარა და დაკარგული ფული ვერ უპოვნია. როდესაც ტფილისში გასინჯეს დავთრები და დარჩენილი კასსაში თეთრი და შავი ფული დათვალეს, აღმოჩნდა, რომ ბირიუკოვს ბათუმის მხრიდგან მოჰქონებია სულ 38,582 მანეთი და 78 კაპ., აქედგან კასაში ვერცხლისა და შავი ფული იპოვნეს მარტო რვა თუმნისა და ორის მანეთისა; ამას გარდა ბირიუკოვს ჯიბეში ჰქონდა ოც-და-შვიდი თუმანი სამი მანეთი და 72 კაპ. აქედგანა სჩანს, რომ მოუპარავთ არა 35,000 მანეთი, არამედ 38,227 მან. და 6 კაპეიკი. ბირიუკოვი მაშინვე დააპატიმრეს და გამოძიება სწარმოებს.

*** ხევი: მომავალის 1891 წლის იანვრის თვიდგან კობში სამრევლო სკოლა იმართება. სასულიერო მთავრობის განკარგულებით ადგილობრივი ბლაღოჩინი მ. ალექსი გულიგულისაშვილი უკვე შეუდგა კობში იმ საეკკლესიო შენობის შეკეთებას, სადაც უნდა მოათავსონ ამ სკოლის მოწაფენი.

*** იქიდამვე: ცუდმა ამინდებმა ამ ბოლოს დროს უფრო გააჭირვა საქმე: ამ თვეის 28, ძლიერ იავდრა, კოკის-პირულად დაუშო წვიმა და 30-მდე გასტანა; მოასწრო გაშლილს ძნას კალოებზე, ჩალა, ბზე და ხვავი ერთმანეთში აურია. გადადარების მოახლოვებამდე თბილად სწვიმდა და არც თოვლს ურევდა; მოატანა თუ არა გადადარებამ, ათიოდე წუთის განმავლობაში გამოურია თოვლი „ბებრის ფარტენებულად", მთები გადაათეთრა და ბარად-კი მარტო ააჭრელა დედა-მიწა.

*** იქიდამვე: ორი წელიწადია, ძროხის ჭირი აღარ გამოჩენილა და გვიხაროდა, მაგრამ ეხლა-კი ზედ კარებზე მოგვაყენეს: ამ თვეის 28 ს, არაგვის ხეობიდამ ხარხეტელებს მატყლის ბარდნები მიჰქონდათ კავკავში, ერთი ხარი ავად გაუხდათ და სოფ. გაიბოტენში გლეხს გ. ჩაბაევაურს მიაბარეს, თითონ წავიდნენ და საპალნე დაქირავებულის ხარებით წაიღეს; ჯერ ერთს საათს არ გაევლო, რომ მიბარებულმა ხარმა ფეხები გაფშიკა და სადაც მოკვდა, ლეშიც იქვე გდია დღესაც. არც სოფელი და არც მამასახლისი ყურს არ უგდებენ, რომ დამარხონ მაინც ეს ლეში და ხალხს ამით ააცილონ მომავალი უბედურება.

*** ამ თვეის სამს, სიონის ქუჩაზე, ავეტიქ თარხანოვის სახლში ოქრო-მჭედლის ნიკოლოოზ სვანიძის დუქანს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა ფიცრის სახლის ერთი კუთხე. ცეცხლი შინაურულად ჩააქრეს.

*** ამავე დღესვე, ღამის 10 საათზე, ხოჯევანქის ქუჩაზე, ტფილისის მცხოვრებელი პოლოს დავიდოვი—თამაზოვი ცოლს წაეჩხუბა და მარცხენა გვერდში დასჭრა დანით. დამნაშავეს ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს.

*** 3 ამ თვეისას, დილის 8 საათზე, ტფილისის მცხოვრებელმა ანნა პეტრეს ასულმა მურადოვმა, რომელიც ნიკოლოოზის ქუჩაზე სცხოვრებს, გამოაცხადა, რომ ჩემის სადგურის სარდაფიდგან ვიღაცამ მომპარა 155 მანეთის ტანისამოსიო. სარდაფი ღია იყოვო. ეჭვი ჯერ არავისზე არ გამოუცხადებია.

*** ამავ დღესვე, ღამის 11 საათზე, სოფ. მუხურის მცხოვრებელი ნესტორ კონსტანტინეს ძე ჩარკვიანი მიხეილის ქუჩაზე შევიდა ჯალავდაროვის საათის მაღაზიაში, როცა პატრონი შიგ არ იყო, და ორი 24 მან. ღირებული ვერცხლის საათი მოიპარა, მაგრამ მალე მოასწრო პატრონმა და შეიპყრო.

*** ოქტომბრის 3 ტკვრის პირის ქუჩაზე, ვარლამოვის სახლში, ასტრახანის მცხოვრებელი ალექსი ანდრიას ძე ილინი, 66 წლისა, ღამის 11 საათზე უეცრად გარდაიცვალა საკუთარს სადგურში.

*** 2 ამ თვეისას, ნაშუადღევის 2 საათზე, საზოგადო ქუჩაზე, მირზი-მირზოევის სახლში, ტფილისის მცხოვრებელს ქვრივს ანნა ივანეს ასულს ზასიკოვს სხვაგან ყოფნის დროს სადგური გაუტეხეს და მოჰპარეს ერთი დრაფის პალტო, ორი ქალის წამოსასხამი და სხვა-და-სხვა ტანისამოსი, ღირებული სულ 28 მან.

## მალოროსიული წარმოდგენა.

ოთხშაბათს მალოროსიულმა დასმა წარმოადგინა ოთხ-მოქმედებიანი კომედია „За двома зайцямы", თხზულება მ. სტარიცკისა. ხელოვნურად დაწერილმა პიესამ რიგზე და მწყობრად ჩაიარა, ხარხარი და სიცილი ბევრი გამოიწვია მაყურებელს საზოგადოებაში. მოქმედება სწარმოებს კიევში. დიდი ქონების პატრონს მოქალაქე სირკოს (ბ-ნი კროპივნიცკი) ჰყავს გასათხოვარი ქალი, ფრონია (ქ. სუსლოვისა), რომელსაც საცოდავი სწავლა მიულია „პენციონში" და აი სწორედ ამ გარემოების გამო ფრონიას აღარა მოსწონს-რა დედ-მამისა: არც იმათი ლაპარაკი და მიხვრა მოხვრა, არც იმათი ყოფა-ცხოვრება და სულ იმას ეჩიჩინება, რომ გაუნათლებელნი და ხეპრეები ხართ, განათლების ყადრი არ იცით, თქვენთან ყოფნა სწორედ სირცხვილია ჩემისთანა ნასწავლის ქალისათვისაო. თითონ ფრონიას სწავლა-განათლება მეტად სუსტია, მაგრამ დედ-მამას მაინც სჯერა მისი განვითარება, ყველაფერს უთმობს და არაფერში უხირდება. ფრონიას გაიცნობს ერთი გაკოტრებული დალაქი გოლოხვოსტი (ბ-ნი ლევიცკი) და არშიყობას დაუწყებს. გოლოხვოსტიც განათლებაში სდებს თავს, ამპარტავნობს იმ ორიოდ-სამი ფრანგულის სიტყვით, რომელიც სადალაქოში უსწავლია და მედიდურად ექცევა თავის ნაცნობებს—ხელოსნებს: თქვენ რა გელაპარაკოთ ხეპრე გლეხებსა და დაწერილებით უხსნის თავის შარვალ პინჯაკის ამბავს, უკანასკნელს მოდასა და სხვა ამ გვარ სისულელეს. ფრონიას შერთვა იმიტომ მოინდომა, რომ მზითევში აღებულის ფულით ახალი მაღაზია უნდა გამართოს და მტრებს არ დაეჩაგვრინოს. ფრონიაც გადარეულია იმის კავალრობითა და დედ-მამას ცხვირში ძმარი ადინა, როცა იმათ რიგიანად ვერ მიიღეს გოლოხვოსტი.

მაგრამ გოლოხვოსტი ამას არ სჯერდება. ერთის დალალის ქალის (ქ. ზატარკევიჩი) შვილს მოჰკრავს თვალსა და აეტორღიალება. ამ დროს ქალის დედამ მოასწრო მოარშიყეთ და გაბრაზებულმა კინაღამ მიტყიპა „კავალერი." ბევრს ხვეწნასა და მუდარას შემდეგ ლემერიხა დაწყნარდება და პირობას ჩამოართმევს, რომ ჩემი ქალი უნდა შეირთოო. ნიშნობაც მალე გამართეს, სადაც გოლოხვოსტიმ ისე გადაჰკრა, რომ სერთუკი იშელიპა და გოგოებთან ერთი ლაზათიანად ჩამოუარა. მაგრამ ხათა ის არის, რომ სირკოს ოჯახიც ქორწილს ემზადება. უკანასკნელს მოქმედებაში, როცა გაჩაღებული ლხინია სირკოს სახლში და მეჯვარენი ფრაკებში გამოწყობილნი იჭიმებიან, როცა ნეფე-დედოფალი ხელ-გაყრილნი დასეირნობდნენ და ეკკლესიაში წასვლის მოლოდინში არიან, უცბად შემოვარდება ლემერიხა და თავის სასიძოს კისერში სწვდება, ყველაფერი გამოაშკარავდა. ფრონიაც, გაბრაზებული „თავის კავალრის" ვერაგობით, ლანძღვას დაუწყებს. ვიღაცა წამოიძახებს, რომ გოლოხვოსტი კოტრიაო და ყველას თავ-ზარს დასცემს მატყუარა დალაქის გაიძვერაობა. მაშინ აღშფოთებული გოლოხვოსტი, ხმა მაღლა, პირში სიტყვას მიახლის, თქვე ხეპრენო, (мужва ე. ი. мужики) გაკოტრებული რომ არ ვყოფილიყავი, განა თქვენს გომბიოებს ვიკადრებდიო ცოლადაო. თავმოწონებით გაშლის შეკეცილ ცილინდრს, დაიხურავს თავზე აზნაურშვილურად და გავარდება გარედ. ამით თავდება პიესა.

ჩვეულებრივ მშვენიერად ითამაშეს ბ-ნმა კრაპივნიცკიმ და ქ. ზატირკევიჩმა. ამათ გარდა თავი იჩინეს დიდად ამ საღამოს ქ. სუსლოვისამ და ლევიცკისამ, განსაკუთრებით ლევიცკისა ისე ლამაზად თამაშობდა, რომ ყოველს იმის სიტყვაზე საზოგადოებაში სიცილი იყო. საზოგადოება აგრე რიგად ბევრი არ დასწრებია.

ა. ფ—ლი

## ნიხრის მოსპობის გამო ტფილისში

წარსულს თვეში სახელდობრ, 21 სექტემბერს, ქალაქის საბჭოში ბევრი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, მოასპოს თუ არა ნიხრი, ანუ ტაქსა, რომელსაც ყოველ თვეე და თვეე აწესებს ხოლმე ქალაქის გამგეობა ხორცისა და პურისათვის, რათა ერთიცა და მეორეც გადაკვეთილ ფასად იყიდებოდეს. ამ საგანზე მოხსენება გამგეობამ წარუდგინა საბჭოს და წარუდგინა იმ აზრით, რომ, თუ ნიხრი მოისპეთ, იქნება მაშინ უფრო იაფობა ჩამოვარდეს პურისა და ხორცისა და თვით გასასყიდი პური და ხორცი უფრო უკეთესი იყოსო. ეს იმიტომ არის მოსალოდნელიო, რომ ყასბები და მეპურე-მეფურნენი ეცდებიან, ერთმანერთს გაეჯიბრონ, შეეცილონ მუშტრის შოვნაში და დაუკლონ ფასები პურსაცა და ხორცსაც, რომ უფრო ბლომად მიიზიდონ მუშტარიო. ნიხრის მუდამ დაწესებამ არ იქნა და არ ჩამოაგდო იაფობა და იქნება მისმა მოსპობამ მაინც გააიაფოს ზემოხსენებული ხორაგიო. ამ მოხსენებამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ბევრნი იმას ამბობდნენ, რომ ვეცადოთ მართლა მოსპობას ნიხრისას და, თუ სიკეთე არა გამოვა-რა, რა დაგვიშლის, რომ, როცა მოვინდომებთ, ისევ არ აღვადგინოთ და არ შემოვიღოთ ნიხრიო. ბევრნი წინააღმდეგნი იყვნენ ამისა და ამტკიცებდნენ, რომ ნიხრის მოსპობა დიდს აყალმაყალს დაჰბადავს, ყასბებსა და მეპურე-მეფურნეებს თავს ვეღარა დაუჭერსრა და უფრო ასწევენ ფასებსაო. ამას გარდა მცხოვრებელნი იმათ ნება-ყოფლობაზე-ღა იქმნებიან დამოკიდებულნი, ხოლო მზარეულისა და ბიჭების მიერ მოტყუებას თავიანთის ბატონებისას საზღვარი აღარ ექმნებაო. ვილა შეიძლებს შეამოწმოს, რას მისცემს ბიჭი ან მზარეული ბაზარში ან ხორცსა და ან პურშიო.

მართლაცა და, სწორედ დიდი საფიქრებელია, რა მოჰყვება ტფილისის მცხოვრებელთათვის ნიხრის მოსპობას. თითქმის ნახევარი და ნახევარზედ მეტი მცხოვრებთა ჰყიდულობს ხორაგს გოგო-ბიჭებისა და მზარეულების ხელით. რაკი ნიხრი აღარ იქნება მათის ნავაჭრის შემოწმება დიდად გაძნელდება. ამის გამო გამუდმებული უნდობლობა და ეჭვი ჩამოვარდება ოჯახის პატრონსა და გოგო-ბიჭებს შორის. ამას გარდა რამდენია, რომ თვეიდამ თვეემდე ჰხარჯავს ხორცსაცა და პურსაც ნისიად და თვეეში ერთხელ უსწორდება ვაჭარსა და მედუქნეს. ყოველ დღე ხომ არ შეიძლება რომ ივაჭრონ და ეჩინჩონ ერთმანეთს ასეთი მყიდველი და გამყიდველი. ცხადია, რომ ვაჭარი მუდამა მოუმატებს ფასს ასეთს მუშტარსა და დავთარში კაპეიკსა და ორ კაპეიკს ყოველ-დღე მეტს ჩაუწერს თითო გირვანქაზე, ხორცი იქნება, თუ პური. დიდს გაჭირვებაში ჩავარდება ნიხრის მოსპობას შემდეგ ღარიბი მოხელე და მცირე ჯამაგირის პატრონი, რომელთა რიცხვიც მრავალია და რომელთაც არ შეუძლიანთ, მუდამ ნაღდ ფულზედ ჰყიდულობდნენ უმთავრესად საჭირო საჭმელ-სანოვაგეს. საფერაო ამ შემთხვევაში უფრო ნისიად მხარჯველს ექმნება, ვიდრე გამყიდველს, რომელიც—ყოველთვის ეცდება, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მისი გაჭირვება. თვით ნაღდის ფულით ყიდვა მოსამსახურეს ხელით დიდს გასაჭირში ჩააგდებს მცხოვრებელთ და გაახარებს მხოლოდ მზარეულებსა და გოგო-ბიჭებს. ოჯახის პატრონი მუდამ გაფრთხილებული უნდა იყოს, რომ მოსამსახურემ არ მოატყუოს, მეტი არ მიანგარიშოს ნასყიდი ხორაგიო.

ყოველ ამ მიზეზების გამო, ჩვენის აზრით, ბევრად უმჯობესი იქნება, ისევ დარჩეს ნიხრი. თუ საბჭოს, ანუ ქალაქის გამგეობას, რომელისამე საფუძვლიანის მოსაზრების გამო, ებევრება, ანუ ეძვირება ნიხრი, განა არ შეუძლიან ნაკლებზე-ნაკლები დანიშნოს. ბრძანოს, ამაზე მეტად ნუ გაჰყიდის გამსყიდველიო და ნაკლებ გასყიდვას ხომ არავინ არავის არ უშლის. ეხლაც ბევრი გამყიდველნი ბევრად ნაკლებ ჰყიდიან ხორცსა და პურს ფუთობითა და ვინ არის ამისი დამშლელი. მაგალითად სასტუმრონი, რესტორანების პატრონები ფუთს ხორცს ყიდულობენ 2 მან., 2 მან. და ერთ აბაზად, ან კიდევ ცოტა მეტნაკლებად. ღარიბი მეწვრილმანენიც, რომელნიც მიყრუებულს უბნებში ჰყიდიან ხორცს, ასე იქცევიან. დიდს დუქნებში ფუთობით ჰყიდულობენ ხორცსა და 2 მან. 80 კაპ. მაგიერ და 3 მ. 20 კ. მაგიერ 2 მ. 50 კ. 2 მ. 80 კ. აძლევენ და მერე ნიხრის კვალობაზე ჰყიდიან გირვანქობით.

თუ ქალაქს სიკეთე უნდა ღარიბისა და ხელ-მოკლე ხალხისა, რომელნიც მუდამ შუა ქალაქსა და ბაზრებზე შორსა სდგას მიყრუებულს უბნებში, აი ვის უნდა მიეშველოს, ვისთვის და უნდა იზრუნოს რამე. ისინი იმ მეწვრილმანე ჩარჩების ანაბარად არიან დატოვებულნი, რომელნიც ასეთს მიყრუებულს უბანში ვაჭრობენ და, რომელნიც ხშირად არც ნიხრს დაეძებენ, არც გასასყიდის სიკეთეს. ესრედ წოდებული „დავეკები", იქ არის დიდს მოდაში, ყოველივე დამპალი და უვარგისი იქა სადდება და სადდება ნიხრის ფასით მაშინ, როდესაც თვითონ მეწვრილმანე ჩარჩს ამისთანა ხორცში მიუცია ნიხრზე ერთი-ორად ნაკლები. ზოგიერთის მამულიშვილის გული ხარობს, როდესაც ჰხედავს, რომ ქალაქის ყველა კუთხეში ამისთანა წვრილმანი ვაჭრები დუქნებს აკეთებენ და თავიანთ საკუთარს სავაჭროს იჩენენ—აი როგორ განძლიერდა ჩვენი ქალაქი და მისი ვაჭრობა, აღებ-მიცემაო—და ისკი ავიწყდებათ, რომ ის წვრილი ვაჭრები მიყრუებულის უბნებისა ჰლუპავენ ქალაქის განაპირა მცხოვრებთა ჯიბესაცა და ჯანსაც. ჯიბეს იმიტომ რომ ერთი-ორად ძვირად ჰყიდიან ყველაფერს, რაც გასაყიდი აქვთ, ნიხრდადებულია თუ ნიხრ-დაუდებელი და ჰყიდიან ამასთანავე უვარგის ხორაგსაც, იაფად ნასყიდსა, პურია, თუ ხორცი, ფქვილი, ერბო, ყველი, სპიჩკა, ყოველივე წვრიმალი და სალევველი. რასაც დიდს დუქანში, შუა ძველ ქალაქის ბაზარში, ქალაქის აგენტების მიზეზით ვაჭარი ვერა ჰყიდის, ყოველივე ის მიდის ქალაქის განაპირას, საცა თვალი აგენტისა არა ტრიალებს და იქ სადდება იქაურ მკვიდრთა საუბედუროდ. ნიხრი-კი არას აშავებს აქა, თვით ვაჭარია, მეტადრე წვრილ ვაჭართა გამრავლება და ვაჭრობის ბუნებაა დამნაშავე. წვრილი ვაჭარნი ისე მრავლდებიან, როგორც ჭიანჭველები. საცა არა მგონია ტფილისელი დადგამს ორს თაბახს, გაიჩენს ერთს კოდ ლობიოს, ერთს კვერეულს ყველს, მოიტანს ნახევარ ფუთს ხორცს, ბრინჯს, კომბოსტოს და მზად არის დუქანი. ამისთანა ვაჭარს ათასი ნიხრი დაუდე, არ დაუდე, სულ ერთია. იმან უნდა იცხოვროს მცხოვრებთა ჯიბითა და, რაც უფრო ბევრია ამისთანა, მით უფრო თხელდება ეს ჯიბე. ბუნება ჩვენებურის ვაჭრობისა ხომ მოტყუებაზეა დამყარებული, მუშტრის გაცრუებაზეა აშენებული. ხოლო როცა ასეთია ვაჭრობა ნიხრის მოსპობა კი არ არის სასურველი, ვაჭრობის თავისუფლების შემოღება-კი არ არის სასარგებლო, შეზღუდვაა, შებორკილებაა მისი გაღვიძებულებისა, ესე იგი ნიხრია საჭირო, ნიხრია სავალდებულო, ნიხრი ყველაფერზედ, რაც-კი უმთავრესად საჭიროა ადამიანის, და მეტადრე ღარიბის ადამიანის ცხოვრებისათვის.

ხოლო თუ ამისი ასრულება სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო ძნელია და ან შემხუთველი საზოგადოდ ქვეყნის წარმოებისათვის, მაშინ ქალაქმა სხვა რამ უნდა იზრუნოს და ეს სხვა რამეა დიდის დუქნების დაარსება ქალაქის ყველა უბანში, ისეთის დუქნების დაარსება, სადაც არც მოტყუება იქნება, არც ერთი და არც მეორე. თუ ქალაქი- თვით-მმართველობა

ამასაც ვერ მოიხერხებს და ვერ შეიძლებს, თვით მკვიდრთავე უნდა იტვირთონ ეს საქმე, თვითვე შეერთდნენ და დააარსონ ესეთი საზოგადო დუქნები, საცა ნამდვილ ფასად ისყიდებოდეს ყოველივე, რაც უმთავრესად საჭიროა ცხოვრებაში პურისა და მარილიდამ დაწყებული სპიჩკასა და ჩაი შაქრამდე. მართალია ამისთანა საზოგადო დუქნების დაარსებაც ძნელია, რომ მათი წარმოებაც დიდს გამოცდილებასა და პრაქტიკულს უნარსა და ცოდნას მოითხოვს, მაგრამ რა ვუყოთ. ადვილი სხვა რა არის ამ ქვეყანაზედ, რომ ცხოვრება იყოს ადვილი. თუ აქამდე არ იყო ამ წუთის სოფლად ცხოვრება ადვილი, რაც დრო მიდის, თან და თან უფრო მეტად ძნელდება და უფრო მეტს უნარსა და მხნეობას გვთხოვს თითოეულს. გამოვიჩინოთ ეს უნარი, ნუ მივხედავთ ნურა დაბრკოლებასა და დავაარსოთ ისეთი საზოგადო დუქნები, სადაც შეიძლებოდეს ჩვენივე კაცები დავაყენოთ და ჩვენვე ვივაჭროთ შიგ, რაც-კი სავაჭრო გვექმნება. თუ-კი სოფლად, საცა მაინცა და მაინც სასყიდელი ბევრი არა აქვთ-რა, ითავეს ეს საქმე და საზოგადო დუქნებს აარსებენ, ქალაქ ადგილას ერთი ასად უფრო საჭირო არ არის? ქალაქ ადგილას ხომ კაცი იოლად ვერაფრით წავა და ყველაფერი სასყიდელია, ქალაქელი ყველაფერის მონასყიდეა და ყველაფერში მეტს აჰყლეტავს. მდიდარნი და შეძლებულნი კლუბებს იმართავენ, რომ იქ ჰნახონ ის სიამოვნება, რასაც თავიანთის დიდის შეძლებითაც-კი ვერ მოიხერხებენ მარტოდ-მარტონი, თუ არ შეუერთდნენ და არ მიეკედლნენ ისეთისავე მდიდრებსა, როგორნიც თავად არიან. ჩვენ-კი, ღარიბებს, რომელთაც სრულიადაც არ გვეკლუბება და მხოლოდ იოლად გვინდა წავიყვანოთ ჩვენი საქმე, რომელთაც ასე გაგვჭირვებია ცხოვრება, სწორედ ვალი გვაქვს, ვიზრუნოთ რამე, რომ ცოლშვილის რჩენა გავიადვილოთ და ჩვენც მოვეწიოთ რასმე ამ წუთი-სოფელში. ეს საზრუნავი უნდა იყოს შეერთება ყველა მონასყიდესი, ან ასისა, ან ორისა ერთად და დაარსება ჩვენის საკუთარის სავაჭრო დუქნებისა ისევ ჩვენდა სასარგებლოდვე.

ალ. თუთაევი

## რუსეთი

დერპტის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შემდეგი განკარგულება მოახდინა: „იმ კანონის სისრულეში მოსაყვანად, რომელიც 1889 წ. 23 მაისს გამოიცა კერძო სასწავლებელში ყველა საგნის რუსულს ენაზე სწავლების შესახებ, საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, რომ ყოველ წლივ დაბალ მოსამზადებელ კლასიდგან დაწყებული თითო კლასში იყოს შემოღებული რუსულს ენაზე სწავლება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ხუთს წელს შემდეგ, თუნდა სასწავლებელს 5 კლასზე მეტიცა ჰქონდეს, მაინც ყველა კლასში ყოველის საგნის სწავლება რუსულს ენაზე იყოს. რუსულს ენაზე არ უნდა ასწავლონ მხოლოდ სალმრთო სჯული იმ მოსწავლეებს, რომელნიც ლიუტერის სარწმუნოებისანი არიან. სალმრთო სჯულს გარდა ადგილობრივის ენების სწავლებაც სამშობლო ენაზე იქნება. მაგრამ ეს უპირატესობა ე. ი. სალმრთო სჯულისა და დედა-ენის სამშობლო ენაზე სწავლება მხოლოდ იმ სასწავლებლებს მიეცემა, რომელიც ეხლავე დაემორჩილება ამ ახლად გამოცემულს კანონსა და ამით თავის მოწაფეებს მაგალითს აჩვენებს მთავრობის ბრძანების აღსრულებისას. ის სასწავლებელი, რომელიც კანონის გადასახვევად დაბალ კლასების კეტვას დაიწყებს და რამდენსამე წლის განმავლობაში მხოლოდ უფროს კლასებს იქონიებს პროგრამის შეუცვლელად, მთავრობის ნდობას დაჰკარგავს და თვით სასწავლებელიც დაუყოვნებლივ უნდა დაიკეტოს. მაგრამ, რადგან ეს ძლიერ სამძიმო იქნება ყმაწვილების მშობლებისთვის, ამიტომ ნებას აძლევ, ამ გვარ სასწავლებლებს, რომ 1892 წ. ივლისამდე. ისევ დაუკეტავი იყვნენ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ახალი მოსწავლეები აღარ მიიღონ ამ ხნის განმავლობაში.“

„М. Вѣд.“-ში დაბეჭდილია სიტყვა ფინლიანდიის უფროს პროკურორის ვეინბერგის მიერ წარმოთქმული იმ სტუდენტების წინაშე, რომლებმაც დემონსტრაცია გაუმართეს თურმე ვეინბერგსა. ჯერ დიდი მადლობა გადაუხდია სტუდენტებისთვის, რადგან პატივი მეცითო, და შემდეგ უთქვამს: დარწმუნებული ვარ, რომ ის შავი ღრუბლები, რომელიც ამ ჟამად ჩვენს სამშობლოზე იგრიხება, ადრე თუ გვიან უნდა უთუოდ გაიფანტ-გამოიფანტოს, თუ ჩვენ მამა-პაპურს მხნეობას არ ვუმტყუნებთ და ისევ მაგრად და გულ-მოდგინედ დავიცავთ ჩვენის სამშობლოს კანონებს, როგორც აქამდის ვიცავდით და თუ ისე მტკიცედ მოვეკიდებით იმ ერთგულების აღთქმას, რომელიც შევფიცეთ ჩვენის ქვეყნის კონსტიტუციასა და დიდს მთავარს. ამას შემდევ გაზეთი ამბობს, ძლიერ საწყინო და მავნებელია, რომ ასე აშკარადა და მოურიდებლად ჰქადაგებ ბ. ვეინბერგი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგაო.

—გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისწერა გუბერნიების მთავრობას, შემატყობინეთ ცნობები უმამულო (ეული) გლეხების შესახებო. უმამულო ანუ ეული გლეხები თითქმის ერთი მეათედია ევროპის რუსეთის მცხოვრებლებისა. ესენი მომეტებულად უფრო სოფლის განაპირად, უბრალო ქოხ-მახებში სცხოვრებენ და თავს ირჩენენ ან მათხოვრობით, ან ქურდობა-ავკაცობითა და ან კიდევ გარყვნილობით. ამოდენა ხალხის უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. თუ ამ ჟამად 6—7 მილიონზე მეტი არ არის ეული გლეხკაცობა, შემდეგში უფრო მეტი იქნება, უფრო გამრავლდება და ძლიერ ცუდი შედეგიც მოჰყვება, თუ ეხლავე არა ეშველა-რა იმათ ყოფამდგომარეობას. უკეთესი ღონის ძიება ის იქნებაო, ამბობენ გაზეთები, რომ სახელმწიფო მამულები მიეცეთ იმ ადგილებშივე, სადაც ამ ჟამად სცხოვრებენო.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო იმის ზრუნვაშია, რომ ფილოქსერის გავრცელება როგორმე შეაჩეროს. ამ აზრით აპირობს დროებით აღკრძალოს ყურძნისა და ვაზის შეტანა ყირიმში და აგრეთვე ახალგაზდა ვაზის გატანა კავკასიისა და ამიერკავკასიიდგან.

## წვრილი ამბები

მკვდრის დაწვა დამარხვის მაგიერ თანდადან უფრო და უფრო ვრცელდება. იტალიის თითქმის ყოველს დიდს ქალაქს ან უკვე აქვს და ან აშენებს მკვდრის დასაწვავს ქურებს. 1888 წელს მთელს იტალიაში სულ 1,403 მკვდარი დასწვეს. გერმანიაში-კი 1889 წ. მხოლოდ 128 მკვდარი დასწვეს. ინგლისშიაც აშენეს ამ ნაირი ქურა და 1889 წლის დამლევს 100 მკვდარი დასწვეს. შვეციის ქალაქ სტოკჰოლმში საზოგადოება დაარსდა იმ აზრით, რომ მკვდრის დაწვა შემოიღოს დამარხვის მაგიერ. ამ საზოგადოებამ უკვე 60 მეტი მკვდარი დასწვა. ციურიხში (შვეიცარიაში) ტაძარიააშენეს, რომელშიაც მკვდრებს სწვავენ. ამერიკის შეერთებულს შტატებში ამავე აზრით სავაჭრო საზოგადოებებიც შესდგა. პარიჟში 1889 წელს 532 მკვდარი დასწვეს.

— ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების კაპიტანი ტიმბლეტონი, რომელიც ინდოეთის ქალაქ სილშია ჯარის უფროსად, ამბობს, რომ ინდოელები ადრე თუ მალე უთუოდ აჯანყდებიანო. ინდოეთის ყველა ტომი დარწმუნებულია, რომ მალე დაებადათ მკურნალი (მკურნალი ინდოელების წარმოდგენით ჯადოსანია, მოციქული ღვთისა), რომელმაც უნდა გასწყვიტოს თეთრი ხალხი და ისევ ინდოელებს უნდა დაუბრუნოს მშვენიერი ქვეყანაო. სილს ახლო მცხოვრებ ინდოელთაგან 500 კაცმა ქრისტიანობა უარჰყო და ისევ თავის მამა-პაპათა სარწმუნოებას დაუბრუნდა. კაპიტანი ტიმბლეტონი ამბობს, ამ მოკლე ხანში ვინმე გამოჩნდება, დაირქმევს ღვთის მოციქულობასა და ამ ამბავს აჯანყებაც ზედ მოჰყვებაო.

— ისპანიაში ერთი კაცი ყოფილა, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეს სულ მოგზაურობაში ატარებს თურმე. დერულტიო, ამბობენ გაზეთები, აი ოთხი წელიწადია, რაც სულ ვაგონებსა და გემების ოთახებში სძინავს ყოველ ღამე და ერთხელაც არ დაუძინია მოსვენებით სახლშიო. ეს კაცი ერთს საათსაც არა ჩერდება თურმე არსად, თუ გემისა და ან მატარებლის [illegible] არ დასჭირდა რომელსამე სადგურზე.

—სარა ბერნარს, რომელიც სცენაზე კარგადა კვდება ხოლმე: დარჩობით, ცეცხლში დაწვით, ხევში გადავარდნითა და ავად-მყოფობით, ერთგვარი სიკვდილი კიდევ მოუგონია — გველის დაკბენით ამის გამო შეუკვეთნია, ტრაგედია „კლეოპატრა“ დამიწერეთო. ვიდრე ტრაგედია იწერებოდა თურმე, სარა ბერნარი თავის როლის სწავლას შესდგომია, ანკარები დაუჭერინებია და შინა ჰყავს თურმე, რომ სცენაზე გაიყვანოს და წარმოდგენის დროს გველის მაგიერად აკბენინოს.

—პარიჟის სამკურნალო აკადემიაში ამას წინად მკურნალმა ამატმა წაიკითხა თავისი მოხსენება და ამტკიცებდა, რომ საჭიროა, ყველასთვის სავალდებულოდ გავხადოთ ყვავილის ჩცრაო. თავის აზრის საბუთად ამატმა ის დაასახელა რომ 1870 წელს საფრანგეთის ჯარში 23,000 იმსხვერპლა ყვავილმა და გერმანიის ჯარში-კი მხოლოდ 450 კაცი მოკვდა ამ სენითაო. ამასთანავე მკურნალმა ისიც მოახსენა აკადემიას, რომ თითო ყვავილით ავადმყოფი ჯარის კაცი მთავრობას ორსს აბაზზე მეტს ხარჯს აძლევსო.

## დეპეშა

4 ოქტომბერი

სტამბოლი. ჯერ კიდევ ბევრს სომხებს იჭერენ და ატუსაღებენ. ამბობენ, ვითომც დატუსაღებულთ აწვალებენ, რომ გამოსტეხონო. ვანიდამ იწერებიან, რომ იქაურნი მოხელენი ოსმალებს იარაღს ურიგებენ.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ოქტომ.

| | მყიდველთ ჰქ. | გამყიდველთ ჰქონდა. | გაყიდულ ჰქონდა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ | მან. კ | მან. კ |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 46 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $129\frac{1}{2}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 14 | — |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228 | — „ | — „ |
| —მეორისა | $212\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| —მესამისა | $213\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


## განცხადებანი

### სასწავლებელი ქალბატონის პუესტისა

კრუზენშტერნის ქუჩა № 9

ამზადებს ბავშვებს (ქალებს და ვაჟებს) ყველა სასწავლებელში მისაღებად. სხვათა შორის განსაკუთრებით ასწავლის ფრანგულსა და გერმანულს ენას. (15—13)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

### ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. ც. აბაშიძისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ქ. ტფილისში გავმართე გალვანოპლასტიკის სახელოსნო და ვასრულებ ოქროს, ვერცხლის, ნიკელისა და ბრინჯაოს წყალში გავლებას საეკკლესიო სამკაულისას: ხატის შეჭედილობისას, ბარძიმფეშხუმისას, ჯვრებისას, სახარებისას და სხ. და აგრეთვე საოჯახოდ სახმარებელ ნივთებისას: ჰალისა, შანდლებისა, კოვზებისა, სამოვრებისა და კარისა და ფანჯრის საკეტისას.

ამას გარდა გაფუჭებულს სარკეებს ვაკეთებ.

ვაახლებ ძველს საეკკლესიო სამკაულსა და საოჯახო ნივთებს. ხმარებისგან გაცვეთილს სამკაულ-ნივთებს, დაძველებულსა და სახმარისად გამოუსადეგებელს ვყიდულობ კიდეც.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, აბულაძის სახლი, № 44, ვარშავის კალათების მკეთებელ ქარხნის პირდაპირ.

(2—1)

მიხეილ დროზდოვიჩი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

### დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა — ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს — სამ აბაზად ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

### „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში — ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში — თავართქილაძესთან, ქუთაისში — წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში — მათე ნიკოლაძესთან.


Доз. цен. Тифлисъ, 4-го Октября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე